

პირველი სიკვდილი

I

რკინის ზღვა. მთვარე მდუმარეა, როგორც ტკივილი ტვინის სიღრმეში. ტანი, რომელიც აქეთ-იქით მიცოც-მოცოცავს კლდეზე, როგორც წყალმცენარე ანდა უსულო საცეცები, ქარებისაგან გაპოზილი საშოს ნაყოფი, სისხლით და ხორციტ გაჟღენთილი ჭაობი. ძირში მოჭრილი მარცხენა ხელი, მარჯვენა კი მხრამდე მოჭრილი, დამპალი ჯოხი, წყლის ფილტვებს რომ ეჩურჩულება. განადგურებული პირიდან მხოლოდ წყლულიდა დარჩა, ნელ-ნელა რომ მოიკრა პირი. თვალებიდან სინათლის გროვა. უწამწამებო თვალები. და უტერფებო, კოჭებამდე ფეხები. სპაზმი.

II

ზღვის მსჯავრი და დამსხვრეული გმინვის ბორკილი
მშრალი თასის გატეხილი წამწამების ქვეშ
უხილავი ნადავლი -
სიყვარულის სამარხთა ძარცვა, მოზღვავებული
შეგრძნებების ლიტანიები, სახსრებიდან ამოვარდნილი მელოდიები,
თავმოკვეთილ მდინარეთა ლავა
ღრმად, ძირშივე ამოკვეთილ ტალღათა ბასრი პირი;
ქვიშის საათის წინსვლა, ეპიდემია -
უაღვირო წარმოსახვები გმირებისა,
სინათლის მთვრალი ძარღვებისკენ რომ მიდრეკილან
და ქარიშხალი, ჭაობებში რომ გამოიზამთრებს
და გაზაფხულზე დატეხილი სხეულის კვლავ დაბრუნება
ფოთოლმდინარი.

III

მკვდარი ყბები, ნაკადულებს რომ კბენენ და
კბილები ჩამომსხვრეული, რომლებიც ძირში ჩაუმარხავს
ცახცახს მსხვერპლისა, სანამ ანკესი ჩაიჭერდა
გარშემო ყველგან პირებია, მიწას ლოკავენ

და ცარიელი თავები წვეთ ხორცს დაეძებენ
აჰა, დაიწყეს. ბადე აკეცეს
ცა ჩამოიქცა.
მკვდართა ჯარები, გაუჩერებლივ
ჩურჩულებენ მაგ უსაზღვრო სასაფლაოზე, შენში
და უკვე აღარ შეგიძლია მათ ესაუბრო, იხრჩობი და
შინაური ტკივილი ნაზად ეხება
მიუდგომელი სხეულის ყველა გამოსასვლელს
ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი არ შეგიძლია -
მიხობავ, იქ სად წყვდიადი უფრო ხშირია და
თან უფრო ნაზი, გამოფატრული
ცხოველის გვამს
მთვლემარე ძვლების გროვას
ნაზად ეხუტები და ასე იძინებ.

ბერძნულიდან თარგმნა თათია მთვარელიძემ